

ვამტკიცებ 

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შპს „ცხუმ-ეგრისი“-ს  
დირექტორის ბრძანებით N 03. 12.01.2018 წ.

დებულება

## დებულება

### 1. მუხლი - ზოგადი დებულებები

- 1.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შპს „ცხუმ-ეგრისი“ (შემდგომში დაწესებულება), არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.
- 1.2. დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება მოსილების შესაბამისად და ხელმძღვანელობს კანონით "პროფესიული განათლების შესახებ", კანონით „მეწარმეთა შესახებ“ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი აქტებით, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით.
- 1.3. წინამდებარე დებულება არეგულირებს სასწავლო, ორგანიზაციული და სხვა სახის ურთიერთობებს დაწესებულებაში.
- 1.4. კოლეჯის იურიდიული მისამართია ქ.ზუგდიდი. სართანიას ქ.N50.
- 1.5. ფაქტიური მისამართი ქ.ზუგდიდი. კოსტავას ქ.N38.

### 2. მუხლი - კოლეჯის ხედვა და მისია

#### 2.1. ხედვა:

2.1.1. საქართველოს მთვარობის პრიორიტეტული მიმართულებაა განათლების შესაძლებლობების გაზრდა საგანმანათლებლო რესურსების შეთავაზების გზით; ამდენად, ხედვა წარმოადგენს იმ იდეალს, რომლის მიღწევაც შესაძლებელია სხვადასხვა ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით. ამ მდგომარეობის მიღწევაში შპს „ცხუმ-ეგრისის“ მონაწილეობა განისაზღვრება იმ მიზნებითა და ამოცანებით, რომლებსაც შპს ცხუმ-ეგრისი შეიმუშავებს წინამდებარე სტრატეგიული გეგმის ფარგლებში.

#### 2.2. მისია:

- 2.2.1. განათლების მიღების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა, განსაკუთრებით, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისთვის, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მომზადება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ კონკურენტულ სასწავლო გარემოში;
- 2.2.2. ადგილობრივი სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა დაგანვითარება, რაც ხელს შეუწყობს ერთობლივი პროგრამების დაგეგმვას და რეალიზებას;
- 2.2.3. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება წარმომადგენლობის მიერ ინფორმაციული ხასიათის სალექციო კურსის მომზადების შესახებ (თემატიკა: ევროკავშირის სტრუქტურა, მათი საქმიანობის

სფერო, კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივა, აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტებთან თემატური შეხვედრები და ა.შ.).

2.2.4. პერსონალის განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა;

2.2.5. სტუდენტთა კულტურული და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც გაზრდის მათ მოტივაციას.

### **3. მუხლი - კოლეჯის მიზნები და ამოცანები**

3.1. კოლეჯის მისიის განხორციელებისთვის განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

3.1.1. ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება;

3.1.2. პერსონალის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

3.1.3. ფინანსური მდგრადობისა და გაზრდის უზრუნველყოფა;

3.1.4. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

3.1.5. თითოეული სტრატეგიული მიზნის ქვეშ განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც კიდევ უფრო მეტად აკონკრეტებს შპს „ცხუმ-ეგრისის“ სამოქმედო პრიორიტეტებს.

### **4. მუხლი - კოლეჯის საქმიანობის სფერო**

4.1. კოლეჯის საქმიანობა მიმართულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისაკენ.

4.2. კოლეჯი პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს პროფესიული განათლების თითოეული საფეხურისათვის, სათანადო ნებართვის - ავტორიზაციის მოპოვების შემდგომ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა წარმატებით ათვისების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გასცემს შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიულ დიპლომს.

4.3. კოლეჯი იღებს ვალდებულებას სწავლისა და სასწავლო პრაქტიკის დროს თავის ტერიტორიაზე შექმნას ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემო.

### **5. მუხლი - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესი და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები**

5.1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა (მათ შორის უცხოელი მოქალაქეების) ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N 147 ბრძანების საფუძველზე - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესის შესაბამისად.

- 5.2. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სრული და არასრული კურსი.
- 5.3. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება.
- 5.4. წინა საფეხურის არარსებობისას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას პირი მოიპოვებს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში; ხოლო III საფეხურის არარსებობისას - ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.
- 5.5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), რომელიც ადგენს ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, დოკუმენტების მიღების ვადას, რაც გამოქვეყნებული უნდა იქნას საჯაროდ ვებგვერდზე.
- 5.6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე. (შესაბამისობის განსაზღვრა ხდება გასაუბრების ფორმით).
- 5.7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:
  - 5.7.1. პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
  - 5.7.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - 5.7.3. საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;
  - 5.7.4. ოთხი ფოტო სურათი ზომით 3x4;
  - 5.7.5. მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში - წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის სერტიფიკატი;
  - 5.7.6. დაწესებულებას უფლება აქვს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს, კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით, მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები.
- 5.8. დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ბრძანებას, პირის დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ.

## 6. მუხლი - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

6.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

6.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

6.2.1. აკადემიური შვებულება;

6.2.2. უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

6.2.3. ფინანსური დავალიანება;

6.2.4. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, მძიმე დანაშაულისათვის;

6.2.5. ფორს-მაჟორული გარემოებები;

6.2.6. სხვა საფუძველები, რაც სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, ადმინისტრაციული საბჭოს მიერ განხილვისა და დირექტორის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შესაძლებელია გახდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

6.3. სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს.

6.4. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია თუ კი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები, რაც გახდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

## 7. მუხლი - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

7.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

7.1.1. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

7.1.2. პირადი განცხადება;

7.1.3. საგანმანათლებლო პროგრამით (პროგრამებით) გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;

7.1.4. ერთი და იგივე კურსის ორჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება;

7.1.5. შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება;

7.1.6. სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ ძალადობა და შეურაცხყოფა;

7.1.7. შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ქმედებით;

7.1.8. სასწავლებელთან კავშირის გაწყვეტა;

7.1.9. მობილობის ფარგლებში სხვა სასწავლებელში გადასვლა;

7.1.10. კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

7.1.11. გარდაცვალება;

- 7.2. სტატუსის შეწყვეტის კანდიდატს ეძლევა ამავე დაწესებულებაში მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის უფლება, გარდა შინაგანაწესისა და წინამდებარე დებულების უხეშად დარღვევის შემთხვევისა.
- 7.3. პროფესიულ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას პირს ეძლევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შესაძლებლობა.
- 7.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **8. მუხლი - სტუდენტის მობილობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა, გაუქმება, მიღებული განათლების აღიარება**

- 8.1. სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.
- 8.2. სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობის შესაბამისად და ამ დებულებით მითითებული პირობების დადგომისას, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში.
- 8.3. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 8.4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული განათლების მხოლოდ ერთი საფეხურის ფარგლებში.
- 8.5. სხვა პროფესიულ სასწავლებელში გადასვლის მსურველი სტუდენტი განცხადებით მიმართავს დირექტორს შესაბამისი დოკუმენტაციის (ასლების) მოთხოვნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროფესიული სტუდენტის აკადემიურ და ფინანსურ მდგომარეობას და დავალიანების არქონის შემთხვევაში სტუდენტი ღებულობს მობილობისათვის ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას.
- 8.6. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამების) შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უზრუნველყოფს სტუდენტს შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობას.
- 8.7. პროფესიული სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში გადავიდეს, შიდა მობილობის გამოყენებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე მობილობის გამოყენებით.
- 8.8. სასწავლებელი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის შესაბამისობის განსაზღვრას არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებს შორის.
- 8.9. თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვერ განხორციელდა გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, მაშინ დაწესებულება იღებს ვალდებულებას აწარმოოს მოლაპარაკება სხვა

საგანმანათლებლო დაწესებულებებთან რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ პროგრამებს.

- 8.10.** საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის განხორციელების უფლება აქვთ ასევე სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, უცხო ქვეყნის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს.
- 8.11.** საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით სტუდენტთა მიღებისას დაწესებულება განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
- 8.12.** აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 8.13.** დაწესებულება უფლებამოსილია, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია ამ თავსებადობის არარსებობა.
- 8.14.** აღიარება ფორმდება მოტივირებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.
- 8.15.** საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **9. მუხლი - პროფესიული სტუდენტის უფლება-ვალდებულებები**

- 9.1.** პროფესიული სტუდენტია პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.
- 9.2.** პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხვისას.
- 9.3.** პროფესიული სტუდენტს უფლება აქვს:
  - 9.3.1.** მიიღოს ხარისხიანი განათლება;
  - 9.3.2.** ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
  - 9.3.3.** მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებთან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე;
  - 9.3.4.** გამოთქვას საკუთარი აზრი;

- 9.3.5. კრედიტის მოსაპოვებლად ორჯერ მოისმინოს ერთი და იგივე სასწავლო კურსი;
- 9.3.6. მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;
- 9.3.7. დირექტორთან წერილობით გაასაჩივროს ადმინისტრაციული, პედაგოგიური პერსონალის არამართლზომიერი მოქმედება;
- 9.3.8. უფლებამოსილია დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;
- 9.3.9. კანონმდებლობის შესაბამისად ისარგებლოს მობილობის უფლებით.

**9.4. სტუდენტი ვალდებულია:**

- 9.4.1. შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაკისრებული მოთხოვნები;
- 9.4.2. შესრულოს შინაგანაწესითა და პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით მისთვის გათვალისწინებული მოთხოვნები;
- 9.4.3. დაიცვას და შეასრულოს მასთან, როგორც პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
- 9.4.4. გადაიხადოს სწავლის საფასური დადგენილ ვადებში და ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით;
- 9.4.5. დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
- 9.4.6. გაუფრთხილდეს საგანმანათლებლო დაწესებულების ქონებას;
- 9.4.7. ეკრძალება დაწესებულების ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშროების შემცველი, ასევე სხვა აკრძალული ნივთების შეტანა და გამოყენება.

**10. მუხლი - საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაცია**

- 10.1. საგანმანათლებლო პროცესი მოიცავს:
  - 10.1.1. თეორიულ სწავლებას;
  - 10.1.2. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას.
- 10.2. დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს.
- 10.3. საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული კვალიფიკაციათა ჩარჩოს პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერით განისაზღვრავს პროფესიული განათლების ცალკეული საფეხურის შესაბამისი სწავლის შედეგებს ექვსი კრიტერიუმის მიხედვით:
  - 10.3.1. ცოდნა და გაცნობიერება;
  - 10.3.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
  - 10.3.3. დასკვნის უნარი;
  - 10.3.4. კომუნიკაციის უნარი;



**10.3.5.** სწავლის უნარი;

**10.3.6.** ღირებულებები.

- 10.4.** კვალიფიკაციის ყოველი შემდგომი საფეხური მოიცავს წინა საფეხურის სწავლის შედეგებს და გამოიხატება უფრო მაღალი პროფესიული ცოდნით, გაზრდილი უნარებითა და ღირებულებებით.
- 10.5.** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.
- 10.6.** პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება პერიოდულად, ტესტირებითა და გამოკითხვით. შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან ზეპირი გამოცდა.
- 10.7.** დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაანგარიშება ხდება კრედიტებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის ბრძანება №121/წ -ის შესაბამისად.
- 10.8.** კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის კომპონენტს.
- 10.9.** საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).
- 10.10.** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ კვალიფიკაციას ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.
- 10.11.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი უნდა შეადგენდეს საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.
- 10.12.** ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
- 10.13.** კრედიტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იძლეოდეს სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.
- 10.14.** კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
- 10.15.** კრედიტების მიღება გამოიხატება შემდეგი შეფასებით:

**10.15.1.** ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

**10.15.2.** ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**10.16.** მაქსიმალური შეფასება 100 ქულა.

**10.17.** შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

**10.17.1.** შუალედურ შეფასებას;

**10.17.2.** დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

**10.18.** კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში - პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

**10.19.** დაწესებულება იღებს ვალდებულებას სწავლისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის პერიოდში შექმნას სტუდენტებისათვის უსაფრთხო გარემო.

**10.20.** კურსდამთავრებულები, კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მიიღებენ შესაბამისი კვალიფიკაციის გავლის დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომს.

**10.21.** კურსდამთავრებული, რომელიც სრულყოფილად ვერ აითვისებს საგანმანათ-ლებლო პროგრამას მიიღებს ცნობას, სწავლების კურსის მოსმენის შესახებ.

## **11. მუხლი - არაფორმალური პროფესიული განათლება**

**11.1.** დაწესებულებაში არაფორმალური პროფესიული განათლების განხორციელება უნდა მოხდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

**11.2.** არაფორმალური პროფესიული განათლების სახელმწიფო აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას.

11.3. არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების აღიარება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პროფესიული განათლების I, II, III საფეხურების ფარგლებში.

## 12. მუხლი - მართვა და სტრუქტურული ერთეულები

12.1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მართავს:

- 12.1.1. დირექტორი;
- 12.1.2. დირექტორის მოადგილე;
- 12.1.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- 12.1.4. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

12.2. დირექტორისა და კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით და შპს „ცხუმ-ეგრისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტებით (შინაგანაწესი, წესდება, შრომის შინაგანაწესით.)

## 13. მუხლი - ქონება და ფინანსები

13.1. სასწავლებელი სარგებლობს შპს „ცხუმ-ეგრისის“ მატერიალურ - ტექნიკური ბაზითა და ქონებით.

13.2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა და განვითარება ხორციელდება შპს „ცხუმ-ეგრისის“ შემოსავლებიდან მიღებული თანხებით სასწავლებლის დაფინანსების წყაროება:

13.2.1. სწავლის საფასური, რომელშიც შედის: დადგენილი სასწავლო პროგრამის სწავლების საფასური, აუთვისებელი კრედიტ-საათების აღდგენის, დამატებითი გამოცდების ჩატარების, ჩარიცხვის, სხვა სასწავლებელში გადაყვანის, პროცედურების შესრულების საფასური.

13.2.2. შემოწირულობებით, გრანტით, სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობით, ჩუქებით, გასხვისებით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები.

## 14. მუხლი - სახელმწიფო კონტროლი

14.1. დაწესებულების ფინანსური კონტროლი ხორციელდება შპს „ცხუმ-ეგრისის“ ფარგლებში, საქართველოს "მეწარმეთა შესახებ" კანონის საფუძველზე. საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლი წარმოებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისი სამსახურების მიერ.

## 15. მუხლი - რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

**15.1.** სასწავლებლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შპს „ცხუმ-ეგრისის“ დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

**16. მუხლი - დებულებაში ცვლილებების, დამატებების შეტანა**

**16.1.** დებულებაში ცვლილებების, დამატებების შეტანა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.